საეკლესიო კანონების მოქმედების თავისებურებანი

გოჩა ბარნოვი*

წმინდა კანონები მიზნად ისახავს საეკლესიო კეთილწესიერებას, რაც სულაც არ ნიშნავს მორწმუნეებისათვის რაიმე იძულებითი წესით დადგენილი ქცევის ნორმებს; თანაც, ქრისტესმიერი თავისუფლება არ გულისხმობს მორწმუნეებისათვის მხოლოდ საკუთარი თავისუფალი ნების გამოხატვის შესაძლებლობას, არამედ ამ ნების თანაზიარებას ღმერთისა და ადამიანის ჭეშმარიტ სიყვარულთან. ქრისტესმიერი თავისუფლება ხომ უპირველესად ადამიანსა და ღმერთს შორის დაზიანებული ურთიერთობის აღდგენას გულისხმობს. საეკლესიო კანონებიც სწორედ ადამიანის ამ თავისუფლების ნების განცდას ემსახურება. ეკლესიას, როგორც ქრისტეს სხეულს, ყოველ ეპოქაში აქვს რეკომენდაციების მიღებისა და გაცემის შესაძლებლობა, რისთვისაც იყენებს სამართლებრივ წესებს. ზოგადად, საეკლესიო ცხოვრებასა და კეთიწესიერებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პასუხებს საეკლესიო მამათა ნაშრომებში ვხვდებით, რომელნიც შემდგომ, კანონების სახით შევიდა საეკლესიო სამართლის კრებულებში. კანონიკური კუთხით, აღმოსავლეთის ეკლესიამ შეინარჩუნა პირველი ოთხი საუკუნის ეკლესიის ადგილობრივი ერთობების სულისკვეთება. ამასთან, „სჯულის მონობისაგან“ გათავისუფლება სულაც არ ნიშნავს ეკლესიაში კანონიერი წყობის გაუქმებას. ამ მხრივ, აუცილებელია აღვნიშნოთ ის, თუ როგორ განიხილავს და იყენებს ეკლესია წმინდა კანონებს მორწმუნეთა ცხოვრებაში.

წმინდა კანონები კანონიკური სამართლის ფუნდამენტური წყაროებია, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში წარმოშობილი პრობლემების შესახებ ცნობების მოწოდებასთან ერთად, ამ პრობლემების გადაჭრის გზებზეც მიგვითითებენ. ეს კანონები არის ეკლესიის თეოლოგია, ქადაგება და სწავლება; არის ქრისტეს სახარებისეული

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.g.barnovi@sabauni.edu.ge

მცნებების განმარტება და მათი გამოყენება მორწმუნეთა ცხოვრებაში. თავისი ხასიათით ისინი არ არიან იმპერატიული სახის, როგორც საერო კანონები, ადამიანური განწესებანი თუ რომელიმე კანონმდებლის ტექსტი, რომლებიც ძირითადად ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა გარეგნულ ქცევებს არეგულირებენ. განსხვავება, რომელიც კანონიკურ და საერო სამართალს შორის არსებობს, მდგომარეობს იმაში, რომ კანონიკური სამართალი პირდაპირ უკავშირდება ადამიანისათვის გამოცხადებულ საღვთო ჭეშმარიტებას. ქრისტე, როგორც ღმერთის განკაცებული სიტყვა, ეკლესიის თავი და დამფუძნებელი, არის ეკლესიაში უმაღლესი კანონმდებელი (რჯულმდებელი) და მსაჯული, რადგან „ერთი არს სჯულმდებელი და განმკითხველი, რომელი შემძლებელ არს ცხორებად და წარწყმედად“ (იაკ. 4, 11-12). ცნობილია, რომ ღმერთი ესაუბრებოდა მოსეს და წინასწარმეტყველებს და სხვა საღვთო ადამიანებს და მათ გარკვეულ მცნებებს და რჯულს აძლევდა.

კანონიკური სამართალი ეკლესიის დაარსებისთანავე იწყებს არსებობას, რისი მიზანიც ეკლესიის წევრებს შორის ურთიერთობების დარეგულირება იყო. ეს, უპირველესად, ამ წევრების სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურება. კანონიკურ სამართალს, საჯარო სამართლის მსგავსად, აქვს კანონების სისტემა; ზოგი ფიქრობს, რომ მათ შორის დიდი განსხვავება სულაც არაა, რომ კანონიკური სამართალი, უბრალოდ, საჯარო სამართლის ერთგვარი გამოყენებაა (აპლიკაცია) საეკლესიო საკითხებთან მიმართებაში. ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი კანონიკურ სამართალსა და საჯარო სამართალს შორის არის ის, რომ კანონიკურის წყარო არის საღვთო ნება მაშინ, როცა საჯარო სამართლის წყარო შეიძლება იყოს იმპერატორი, პარლამენტი ან რომელიმე არჩეული კანონმდებლობითი ორგანო[1]. მაგრამ, ისიც ცნობილია, რომ საეკლესიო სამართლის მიზანი ამქვეყნიური წესრიგის გარდა, ადამიანის მომზადებაა იმქვეყნიური ცხოვრებისათვის. ამიტომაც, საეკლესიო კანონები არაა სადამსჯელო ან გამოსასწორებელი საერო კანონების მსგავსად, არამედ პედაგოგი-

[1] Mihai V., Orthodox Canon Law, Holy Cross Orthodox Press, 2014, 3.

ური და აუცილებლად ტრადიციაზე დაფუძნებული, როგორც ადამიანებისათვის მაცხონებელი გზის ერთგვარი მაჩვენებელი და ორიენტირი.

ეკლესიის საიდუმლოს სოტერიოლოგიური ხედვა მისი ყველა მსახურებისა თუ ინსტიტუტის სოტერიოლოგიურ ხედვას გულისხმობს. ყველაფერი, რაც კი ეკლესიაში ხდება, ხდება ადამიანის განღმრთობისათვის. ადამიანის ცხონება არ მიიღწევა მხოლოდ სარწმუნოების დოგმატური ფორმულირებების დაცვით, არამედ ყველა მორწმუნის მიერ ამ დოგმატური მცნებების განცდით ღვთისმსახურებით ერთობასა და ზნეობრივ სრულყოფილებაში. ამასთან, კანონიკური ტრადიცია სხვადასხვა საფრთხეების მოგერიებასაც ისახავს მიზნად როგორც შიდა ერთობისათვის, ისე ამ ერთობის გარეგნული გამოვლინებისათვის. ეს კი მნიშვნელოვანია ეკლესიის მთავარი გზავნილის გაგებისათვის და ქრისტესმიერი გამოცხადების შინაარსის გათავისებისათვის. ამ მიზანს ემსახურება როგორც მსოფლიო, ისე ადგილობრივი კრებების კანონები, რომელთა ძალმოსილება მომდინარეობს ქრისტესმიერი გამოცხადების შინაარსთან ავთენტური კავშირიდან[2]. თუმცა, კანონების მართებულობის განსაზღვრა მხოლოდ მათი წარმოშობის ან დამდგენი ორგანოს ავტორიტეტულობის საფუძველზე არ იქნება სწორი. ამისი მიზეზი კი არის ის, რომ ნებისმიერი კანონის ავთენტურობა მის ქრისტესმიერი გამოცხადების ჭეშმარიტებასთან კავშირით იზომება. ამის დასადასტურებლად საკმარისი იქნება 341 წელს ანტიოქიაში გამართული ენკენიის კრება, რომელიც კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს[3]. ამ კრებაზე დამსწრე 97 ეპისკოპოსიდან უმრავლესობა არიანელი იყო. კრების დოგმატური ფორმულირებებიც (სამი, ზოგი ვერსიით, ოთხი) სულაც არ იყო მართლმადიდებლური. მაგრამ, თუ ჩვენ ამ კრების კანონებს განვიხილავთ, ისინი სრულ თანხმობაშია ეკლესიის კანონიკურ ტრადიციასთან. მეტიც, ამ კანონების შინაარსს ეფუძნება ეკლესიის ადმინისტრაციული სამართალი. ამიტო-

---

[2] Φειδᾶ Βλ., Ἱεροί Κανόνες, Ἀθῆναι, 1998, 39.

[3] Stephens Chr., Canon Law and Episcopal Authority: The Canons of Antioch and Sardica, Oxford University Press, 2015, 68-69.

მაც ვამბობთ, რომ შეუძლებელია კანონების არსებითი გამორჩევა მათი მიმღები ორგანოს ავტორიტეტულობის მიხედვით (მსოფლიო კრება იქნება ეს თუ ადგილობრივი).

ზოგადად კანონიკურ ტრადიციაში ცნობილია, რომ შინაარსის მიხედვით შესაძლებელია მსოფლიო და ადგილობრივი კრებების კანონების გარჩევა. თუკი მსოფლიო კრებების კანონები უფრო ზოგად პრობლემებს ეხება – ესაა ადმინისტრაციული, ეპისკოპოსების უფლებები ან ეკლესიის ერთობის საკითხი, ადგილობრივი კრებები უფრო ლოკალურ პრობლემებზეა ორიენტირებული – ესაა ლიტურგიკული ან სამოძღვრო შინაარსის კანონები; თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის გამონაკლისიც ანტიოქიის კრების სახით, რაც მაშინ ეკლესიაში არსებული მწვავე პრობლემებით იყო გამოწვეული. ძირითადად კი ადგილობრივი კრებების კანონების მიზეზი ლოკალური ხასიათის იყო, როგორც მაგ., გალატელთა პრობლემები, ქორწინების საკითხები ევსტათიანელებთან, ლიტურგიკული გადახრები ფრიგიაში, რის გამოც დაადგინეს შესაბამისი კანონები ღანგრისა და ლაოდიკიის ადგილობრივ კრებებზე, დაცემულთა თემები და სხვა. თუმცა, ეს თემები არ ყოფილა მთელი ეკლესიის ინტერესის საგანი, რადგან ისინი პირდაპირ არ ეხებოდა სხვა გეოგრაფიული ადგილების ეკლესიებს; თუმცა, ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესიის სულიერი გამოცდილებით, ეკლესიის მთელი საიდუმლო გამოვლინდება ნებისმიერ ადგილას, როგორც ამ გამოცდილების მსოფლიოობა დასტურდება მისი ადგილობრივი გამოხატვის სისრულით[4].

ეკლესიის კანონები არ არის პოზიტიური სამართლის სისტემის მსგავსი; მათი მიღება განპირობებულია, ამა თუ იმ ეპოქაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ქრისტესმიერი გამოცხადების ჭეშმარიტების შინაარსის დაცვისთვის ანუ ეკლესიის არსის მართებული გაგებისათვის. მაგრამ, საეკლესიო კანონებს არ შეუძლია ამ ჭეშმარიტების მთელი შინაარსის გადმოცემა. ეკლესიაში რაიმე კონკრეტული გადახრის შემთხვევაში მისი განკურნება არ ხდება სარწმუნოების ჭეშმარიტების მთელი შინაარსის პოზიტიური სის-

[4] Φειδᾶ Βλ., Ἱεροί Κανόνες, Ἀθῆναι, 1998, 41.

ტემის მსგავსი ფორმულირებით, არამედ კონკრეტულ შემთხვევასთან კერძო მიმართებით, რადგან კანონების მიზანი არის კავშირი არა მხოლოდ წმინდა წერილთან, არამედ ეკლესიის სულიერ მისიასთანაც; ორივე ერთად კი არის გამოხსნის მთელი შინაარსი. ამიტომაც, თუკი რომელიმე კანონი არაა პირდაპირ დაკავშირებული წმინდა წერილთან ანუ ქრისტესმიერი გამოცხადების საწყისებთან, მაშინ, უმალ უნდა მივხვდეთ, რომ ამ კანონის მიღება საეკლესიო შეგნებულობითა და ეკლესიის უცვალებელი ნებით იყო განპირობებული ანუ ეკლესიის სულიერი მისიით, რაც გამოხსნის მთელი შინაარსის იგივეობრივია. ყველაფერი ეს კი, რაც ზემოთ ვთქვით, განპირობებულია სულიწმიდის განუწყვეტელი მყოფობით, რომლის მეშვეობით ხდება მისაწვდომი და გასაგები ქრისტესმიერი გამოცხადების ჭეშმარიტების შინაარსი. გარდა ამისა, სულიწმიდა განაპირობებს სარწმუნოებრივი შინაარსის მიმართებას ეპოქების მიხედვით ცვალებად ისტორიულ პირობებთან და ფორმებთან.

ზოგადად, კანონიკური ტრადიციის მიზანი არ არის სარწმუნოების ჭეშმარიტების გადმოცემა, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას წინაპირობად იღებს სხვადასხვა კანონების ფორმულირებისას. რატომ? იმიტომ, რომ კანონებს, ჩვეულებრივ, აქვთ ასევე პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული საეკლესიო დეფინიციების ხასიათი, მაგრამ, აქვთ ასევე პირდაპირი ან ირიბი კავშირი გამოცხადების ჭეშმარიტებასთან და ეკლესიის სულიერ მისიასთან. ამასთანავე, გამოცხადებითი ჭეშმარიტების შინაარსს არ აქვს სისტემური დადგენილებების საჭიროება, არამედ ამ ჭეშმარიტების ზოგიერთი ასპექტის განმარტების. ნებისმიერი კანონი არის მარტივი ისტორიული ფორმულირება და ბუნებრივია, ის ვერ მოგვცემს მთელი ჭეშმარიტების ამომწურავ აღწერას, თუმცა, აუცილებლად გამოავლენს ამ ჭეშმარიტების არსს, რადგან გამოხატავს ამ გამოცხადების გამოცდილებით ცხოვრებას. მართლმადიდებელი ეკლესიის კანონოლოგებში აღიარებულია მოსაზრება, რომ ეკლესიის კანონიკური ტრადიცია არ არის იურიდიული პოზიტივიზმის ხასიათის, რაც საჯარო სამართლისთვისაა დამახასიათებელი. პირიქით, ის გამოხატავს ეკლესიის გამოცდილებითი ცხოვრების კავშირს გამოცხადებით ჭეშმარიტებასთან და ამ კავშირის ავთენ-

ტურობას. ეკლესია ღმერთსა და ადამიანს შორის ერთობას კონ-კრეტული ისტორიული ქმედებებით ახორციელებს. სწორედ ამ მი-ზეზით აუცილებელია განვასხვავოთ კანონებში „მარადიული (შე-უცვლელობის გაგებით) ელემენტი“ და ეკლესიის განუწყვეტელი ისტორიული პროცესი. აქედან გამომდინარე, კანონის სულისკვე-თების მარადიული შინაარსი ყოველთვის აღემატება ამ კანონის გა-რეგნულ ფორმას ანუ პერივლიმას. მაგრამ, აქვე ვიტყვით, რომ კა-ნონის ისტორიულობა უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ ჭეშმარიტება ამ ისტორიაშია და ისტორიითვე განისაზღვრება ის, როგორც ფორ-მების, ისე გამოხატვის საშუალებების მხრივ. ასევე ცნობილია, რომ კანონების მეშვეობით ხორციელდება გამოცხადებითი ჭეშმა-რიტების შეხამება (შეთავსება) კონკრეტულ საეკლესიო საკითხ-თან, რაც შეუძლებელია მოხდეს დროის, ადგილისა და პიროვნული ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. მაგრამ, არაა საკმარისი მხოლოდ დროითი და ადგილის ფაქტორები, არამედ არტიკულა-ციაც ანუ გამოთქმითი საკითხი[5].

საეკლესიო კანონები მხოლოდ ქრისტესმიერი გამოცხადების ავთენტური წყაროები არ არის, არამედ სარწმუნო ორიენტირიცაა, რომლითაც საზრდოობს მორწმუნე, რადგან გვიჩვენებს გზას ადა-მიანის ცხონებისაკენ. საეკლესიო კანონების მიზანი არ არის სა-მართლებრივი რამ წყობის დაცვა, არამედ ადამიანთა სულების განკურნებაა. ეს განკურნების პროცესი არის პიროვნული, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველი მორწმუნის განკურნება არის გან-სხვავებული მისი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებს. ისინი პედაგოგიური სახის ტექსტებს წარმოადგენენ. ყოველი კანონი კონკრეტულ სამოძღვ-რო პრობლემას მიემართება, რომელსაც ეკლესია კონკრეტული სამოძღვრო ქმედებით პასუხობს. ის, რომ კანონის მიზანი არ არის ყველა მორწმუნის ერთი კანონის ქვეშ დაქვემდებრება, ჩანს იკონომიის წესშიც, რაც განასხვავებს საეკლესიო სამართალს სხვა სამართლისაგან. როდესაც ერთი რომელიმე კანონის შინაარსი

[5] Mihai V., Orthodox Canon Law, Holy Cross Orthodox Press, 2014, 449-450.

ხელს უშლის კონკრეტულ შემთხვევაში მიზნის მიღწევას, მაშინ საეკლესიო სავსება იყენებს საეკლესიო იკონომიას, რომელიც რეალურად არის სიყვარულის გამოხატულება, დროებითი და ლოგიკური გადახრა კანონების აკრიბიიდან, მაგრამ ისე, რომ არ შეიცვალოს მათი დოგმატური სულისკვეთება იმ ადამიანთა ცხონებისათვის, რომლებიც იმყოფებიან როგორც ეკლესიის შიგნით, ისე მის გარეთ[6].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კანონების კრებული ეკლესიის ჭეშმარიტებისა და მისი ბუნების გამოხატულებაა. ამიტომაც, ამ ჭეშმარიტების შეცვლა ან მისი დამახინჯება შეუძლებელია; მაგრამ, მიუხედავად ამისა, კანონების პედაგოგიური თვისება იძლევა კანონების პერივლიმის შეცვლის შესაძლებლობას, თუკი ამის საჭიროება დგება კონკრეტულ შემთხვევაში. საეკლესიო კრებების მამები, რომლებიც წერდნენ ამ კანონებს, მათ მიიჩნევდნენ საღვთო მცნებების გაგრძელებად და შესაბამისად, შეუძლებელი იყო ვინმეს ცვლილება შეეტანა მათში, გარდა მსოფლიო საეკლესიო კრებებისა.

თანამედროვე სამყაროში წარმოუდგენელი ცვლილებები ხდება; ცვლილებებს ექვემდებარება მსოფლმხედველობა და ზოგადად, ადამიანის პოზიციაც. ამიტომ, ისტორიული ცვლილებები აუცილებელ გავლენას იქონიებს კანონების პერივლიმის ცვლილებაზეც. ეკლესიას, როგორც ქრისტეს სხეულს, აქვს შესაძლებლობა, უდიდესი გავლენა მოახდინოს ისტორიის ამა თუ იმ ეპოქაზე, რისი საფუძველი და მიზეზი მისი ღმერთ-ადამიანური განზომილებაა. კანონების სულისკვეთება რეალურად გვიჩვენებს ეკლესიის არსის კონკრეტულ ისტორიულ ეპოქასთან შეხვედრას. შესაბამისად, ყოველი მსოფლიო კრება კანონების უცვალებლობას აღიარებს, მაგრამ საეკლესიო საჭიროებიდან გამომდინარე, თავად იტოვებს უფლებას შეცვალოს ისინი. კანონიკური ტრადიციის ყოველი პედაგოგიური შეთავსება და განახლება გარკვეულ წინაპირობებს მოითხოვს. ამიტომაც, შესაძლებელია ანალოგიის მეთოდის გამოყე-

[6] ბუმისი პ., კანონიკური სამართალი, ი. გარაყანიძის თარგმანი, თბილისი, 2007, 51.

ნებაც, რომლითაც მრავალი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას წინა კრებების კანონების გამოყენებით თანამედროვე პრობლემებთან მიმართებით, განსაკუთრებით კი იმ კანონებით, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ მოგვიანებით წარმოშობილ პრობლემებთან; და ეს ძველი კანონები შესაძლებელია გამოყენებულ იქნენ ამ ახალი, მოგვიანებითი ხანის პრობლემებთან მიმართებაში, თუმცა განსხვავებული განმარტებით ახალი პირობების ანალოგიურად.

ახალი კანონები შეეხამება თანამედროვე ეპოქის პრობლემებს, მაგრამ არა სახარების ზნეობრივი მოთხოვნებისა და ქრისტიანობის ასკეტური ეთოსის ხარჯზე. ამიტომაც, არსის მიხედვით ისინი არ იცვლებიან, მაგრამ მსოფლიო კრებას შეუძლია ძველი კრებების კანონებში ცვლილებების შეტანა. ამ პირობით შესაძლებელია კანონის ფორმის ცვლილება და ახალი კანონის მიღება, რომელიც რეალურად იქნება თანამედროვე და თანადროული, მაგრამ იგივე გამომხსნელობითი შინაარსის. ამითაც აიხსნება მომდევნო კრებების მიერ წინა კრებების იმ კანონების მოხსენიება, რომელთა შეცვლაც ხდება ახალი კრების მიერ. ეს ცვლილებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოწვეული იყო ისტორიული ეპოქების მოთხოვნათა საჭიროებით. ყველა ეპოქაში საჭირო იყო ქრისტესმიერი გამოცხადების არსის ახალ ისტორიულ ფორმებში წარმოჩენა. რისთვის ხდებოდა ეს? რათა უფრო გაადვილებულიყო მორწმუნეებისათვის მაცხოვნებლობის გათავისება და განცდა. საეკლესიო სავსება და შეგნებულობა არასოდეს ყოფილა დამოკიდებული წინა პერიოდის კანონის გარე ფორმაზე ანუ პერივლიმაზე. მაგრამ, აქ არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი – ყოველი ახალი კანონიკური ფორმულირებისას ეკლესია იცავს სარწმუნოებითი ჭეშმარიტების იმავე სულისკვეთებას, როგორც წინა კანონების მიღების დროს იყო.

რა თქმა უნდა, ახალი კანონიკური ფორმულირებები არ ახდენს სარწმუნოებითი ჭეშმარიტების არსებით გაუმჯობესებას, არამედ ეკლესიის საიდუმლოს განგრძობადობის დამატებით ისტორიულ თავსებადობას სამყაროში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებაში. მაგრამ, ეს ახალი ისტორიული, კანონიკური სქემები არ ნიშნავს წინა კანონიკური ტრადიციის გაუქმებას, პირიქით, ახალი ისტორიული ფორმებით ხდებოდა ამ ტრადიციის ავთენტური გაგრძე-

ლება, რადგან კანონების არსი და სულისკვეთება იყო უცვლელი, თუმცა იცვლებოდა მხოლოდ პერივლიმა[7].

ამგვარი ცვლილებები და მათი მიმართება წინა კანონიკურ ტრადიციასთან იწყება ქალკედონის კრებიდან და გრძელდება ტრულის კრებაზე. ტრულის კრებამ დაამტკიცა ახალი კანონები, ზოგი მათგანი ძველი, მაგრამ ახალი ფორმულირებით, თუმცა იქვე განმარტა, რომ წინა პერიოდის მსოფლიო და ადგილობრივი კრებების კანონების მსგავსად, უნდა დარჩეს მამათა კანონებიც „სანუგეშებლად სულთა და საკურნებელად ვნებათა“. ყველა კრება სათითაოდაა დასახელებული ტრულის მეორე კანონში. ანუ რეალურად რა ხდება ახლებური ფორმულირებების მიღებით? ახალი საჭიროებების შესაბამისად (რომელი საჭიროებებიც ყოველ ისტორიულ ეპოქას ახასიათებს) ხდება ქრისტეში გამოხსნის გზავნილის შინაარსის განახლება და მისი ადაპტირება ეპოქის მოთხოვნებთან. უბრალოდ, ეკლესია ამ საჭირო ქმედებებისათვის განსაზღვრავს პრინციპებსა და წინაპირობებს. მაგრამ, აქვე ვიტყვით, რომ კანონიკურ ტრადიციაში არ ხდებოდა წინა ეპოქების კანონების გამოყენება პირდაპირი გაგებით ანუ გარეგნულ ფორმასთან მიმართებით უპირობო გამოყენებით. მთავარი ყოველთვის იყო წინა კანონების სულისკვეთება. ამიტომაც, როდესაც ხდებოდა ახალი კანონების მიღება, ძველი კანონების ავტორიტეტულობა ყოველთვის რჩებოდა საეკლესიო ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ძველი კანონები ერთგვარი კრიტერიუმიცაა ახალი კანონების დადგენისას ქრისტესმიერი გამოცხადების შინაარსის უზრუნველსაყოფად. შეიძლება ითქვას, რომ ახალი კანონების დადგენისას არ ირღვევა ეკლესიის შიდა საკანონმდებლო ხელისუფლება. უბრალოდ, ისტორიული მსვლელობისას ეკლესია არ გამორიცხავს კანონების ცვლილებას, საკმარისია ამის საჭიროება არსებობდეს. ცალკე აღებული რომელიმე კანონი ვერ განაპირობებს ქრისტესმიერი გამოცხადების მთელი ჭეშმარიტების შინაარსის შეთავსებას (შეხამებას) ეკლესიის ცხოვრების კონკრეტულ საკითხთან, მაგრამ აუცილებლად იძლევა მთელი ამ ჭეშმარიტების განსხვავებული პერს-

[7] Φειδᾶ Βλ., Ἱεροί Κανόνες, Ἀθῆναι, 1998, 43.

პექტივის შესაძლებლობას. კანონების მეშვეობით არ ხდება ჭეშმარიტების ნაწილობითი შემეცნებიდან უფრო სრულ შემეცნებამდე ასვლა, არამედ, კანონების მეშვეობით მტკიცდება ის, რომ ეკლესიაშია მთელი ჭეშმარიტება და იქ ხდება ამ ჭეშმარიტების ერთიანობის დაცვა. მთავარი ისაა, რომ ახალი კანონების დადგენისას შენარჩუნდეს მთელი კანონიკური ტრადიციის გამოცდილება და მისი მჭიდრო კავშირი ეკლესიის სოტერიოლოგიურ და ესქატოლოგიურ გამიზნულობასთან. ეს ესქატოლოგიური გამიზნულობა არ არის განყენებული რამ, არამედ მთელი ისტორიული წარსულის განახლება და აღვსებაა. შესაბამისად, კანონიკური ტრადიცია არ არის სტატიკური მდგომარეობა, არამედ დინამიკური განახლებითი პროცესია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკლესიას კანონის არსსა და მის პერივლიმას შორის კავშირი მუდამ პრინციპულ საკითხად მიაჩნდა, რადგან ეს კავშირი წარმოაჩენს ეკლესიის ისტორიული მსვლელობის ავთენტურობას. ეკლესიამ უპირატესობა მიანიჭა მთელი კანონიკური ტრადიციის ერთობის დამკვიდრებას იმ გაგებით, რომ საეკლესიო ხელისუფლებამ უფრო თავისუფლად შეძლოს მოქმედება სახარებისეული გზავნილის განახლებისა და გათანამედროვებისათვის, რადგან კანონის ისტორიული პერივლიმის მეშვეობით გაცილებით უფრო სანდოა ქრისტეცენტრული კანონიკური ტრადიციის სულისკვეთების დაცვა.

ეკლესიამ კანონიკური ტრადიცია არ განათავსა საეკლესიო ცხოვრების საზღვრებში და არ შექმნა, ასე ვთქვათ, რაღაც კოდიფიცირებული კანონიკური კრებული. მსგავსი კრებულები არსებობდა ბიზანტიაში (პირველი კრებული, მოციქულთა კანონების, სამოცმუხლიანი, ორმოცდაათმუხლიანი (სინაგოგე), თოთხმეტმუხლიანი (ნომოკანონი), მართლმადიდებელი ეკლესიის Corpus Canonum), მაგრამ მათ საბოლოოდ ვერ დაიმკვიდრეს ადგილი საეკლესიო ერთობაში. ამასთანავე, ეკლესიისათვის კანონის გარეგნული ფორმა არ ყოფილა აბსოლუტური მნიშვნელობის და დატვირთვის, მაგრამ ამ ფორმას ყოველთვის თავისუფლად განმარტავს და უსადაგებს თანამედროვე მოთხოვნებს. ეს მიემართება როგორც ადმინისტრაციულ ანუ მმართველობით, ისე სამოძღვრო, ლიტურგიკულ თუ ზნეობრივი შინაარსის კანონებს.

რაც შეეხება საეკლესიო კანონების კოდიფიცირებას, მასზე საუბარი არ დაწყებულა ბოლო ხანებში. ასეთი მცდელობა იყო ქალკედონისა და ტრულის მსოფლიო კრებებზე. ამ უკანასკნელის კანონთა კრებული მიჩნეულია ერთგვარ კოდიფიცირებად, რამდენადაც მასში შემოკრებილია მანამდე მოქმედი კანონები. კოდიფიცირების სახეა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის Corpus Juris Canonici. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო კანონების კოდიფიცირებამ, შესაძლოა, ახლო მომავალში გადაწყვიტოს პრობლემები, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში საჭირო გახდება ახალი კოდექსის შემუშავება, რომელიც უფრო მეტად დაშორდება კანონიკურ ტრადიციას, ვიდრე მისი წინა კოდექსი. ამასთანავე, კანონების კოდიფიცირება გამოიწვევს „მსგავსი კანონების“ ერთმანეთში შერწყმას, ასევე, ერთმანეთთან თითქოს წინააღმდეგობაში მყოფი კანონების რევიზიას, ან ისეთი კანონების რევიზიას, რომელთა მიერ დაწესებული ეპიტიმიაც დღეისათვის გადაჭარბებულად მიიჩნევა. რა თქმა უნდა, კანონთა კოდიფიცირების მიზანი სულაც არაა უცხო ეკლესიისათვის, მაგრამ გასათვალისწინებელია ზოგი რამ, მაგალითად, ზოგი კანონის საგანგებო ხასიათი; გარდა ამისა, კანონები მართლმადიდებელ ეკლესიაში მიჩნეულია თეოლოგიად და ის არ არის საჯარო სამართლის მეცნიერების მსგავსი დარგი, სადაც უპირატესობა თეორიას ენიჭება, ვიდრე პრაქტიკას; ანუ, საჯარო სამართლის მსგავსად, არ იწერება ჯერ კანონები და შემდეგ არ ხდება მისი მორგება პრაქტიკასთან; პირიქით, კანონები მხოლოდ მაშინ იწერებოდა, როდესაც საეკლესიო ცხოვრების გაყალბების რაიმე საფრთხე ჩნდებოდა საეკლესიო სავსების ცხოვრებაში ანუ კანონიკურ სამართალში ჯერ არის პრაქტიკა და შემდეგ თეორია, ანუ ჯერ საეკლესიო სავსების ცხოვრებამ უნდა აჩვენოს რაიმე საჭიროება კანონის დასაწერად და მხოლოდ ამის შემდეგ ფორმულირდება კანონად ის, რაც საეკლესიო ცხოვრებაში პრობლემად გამოჩნდა, რომელიც უცხოა ქრისტესმიერი გამოცხადების ჭეშმარიტების შინაარსისთვის[8]. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ უნდა არსებობდეს რაღაც მიზეზი ეკლესიის მიერ საუკუნეების მან-

[8] Mihai V., Orthodox Canon Law, Holy Cross Orthodox Press, 2014, 3.

ძილზე კანონების კოდიფიცირებაზე უარის თქმისა. ცნობილი მეცნიერი ხრისტოს იანარასი ასე განიხილავს ამ საკითხს: თუკი ზოგადად, კანონების მიზანი არის ცხოვრების საზღვრების დადგენა, ხოლო ეს ცხოვრება, როგორც ამას ეკლესია გვაუწყებს, არის სიყვარული ანუ თავისუფლება ყოველგვარი წინასწარგანსაზღვრულობისაგან, მაშინ როგორაა შესაძლებელი კანონები გაიგივდნენ კოდიფიცირებულ კანონმდებლობასთან? კანონმდებლობა შემოიფარგლება გადაცთომის განსაზღვრითა და მისი სასჯელის დადგენით. საეკლესიო კანონები მიანიშნებენ გადაცთომაზე, მაგრამ, როგორც სინანულის დასაწყისზე. რაც შეეხება ეპიტიმიას, ის უფრო სინანულის პრაქტიკული მხარის განსაზღვრაა. თეოლოგიიდან ცნობილია, რომ სინანული მხოლოდ თავისუფლებითა და სიყვარულით თუ ვლინდება ან წარმოიშობა. ზოგიერთი კანონის შეუთანხმებლობა, გამოუყენებლობა, გამეორება სწორედ სიცოცხლის განუსაზღვრელობაზე მიანიშნებს, რომლის სიცოცხლის კოდიფიცირებაც შეუძლებელია. რამდენადაც კანონები გადაცთომის სინანულისაკენ წარმართვისთვისაა, ამიტომ, ვერ დადებენ საზღვარს ამ გადაცთომებისათვის, როგორც ეს საჯარო სამართალშია, რადგან, საეკლესიო კანონები იმ საეკლესიო ცხოვრებას ექვემდებარება, რომელი ცხოვრებაც არის სიყვარული[9].

საეკლესიო კანონები არის განწესებები, მაგრამ არაა საჯარო კანონების მსგავსი. საეკლესიო კანონებით დაადებენ ეპიტიმიას, რომელიც არაა კონკრეტული დანაშაულის გამოსასყიდი სასჯელი, არამედ განკურნების საშუალება.

რეალურად, საეკლესიო კანონები ზრუნავს საეკლესიო კეთილმოწყობაზე, მაგრამ ისე, რომ ეკლესიის ევქარისტიული სხეული არ დაექვემდებაროს ერთფეროვნებას. საეკლესიო კანონები ითვალისწინებს ადმინისტრაციულ თუ პიროვნულ გადაცთომებს, მაგრამ იმავდროულად პატივს სცემს ადამიანის თავისუფლებას; ამიტომაც იძლევა შესაძლებლობას სინანულისათვის.

კანონების მართებული გამოყენება არ გულისხმობს მათ ავტომატურ შეხამებას ან მორგებას თანამედროვე ისტორიულ პრობლე-

[9] Γιανναράς Χρ., Ἡ ἐλευθερία τοῦ ἤθους, Ἀθήνα, 1979, 227-227.

მატიკასთან. კანონები უფრო გზის მაჩვენებელია საეკლესიო მართლმსაჯულების ავთენტური და სარწმუნო გაგრძელებისათვის. მართლმადიდებელი ეკლესიები რეალურად აღიარებენ საეკლესიო კანონების ამგვარ შეფასებას და თავიანთ საეკლესიო ცხოვრებაში იყენებენ ამ ავთენტურ კანონიკურ ტრადიციას. ისინი, ყოველი არსებული ვითარებისა და საჭიროების შესაბამისად, ადმინისტრაციული მოწყობის საფუძველზე უზრუნველყოფენ სინოდური სისტემის მოქმედებასა და სამოძღვრო საქმიანობას, და განაგებენ მორწმუნეთა ლიტურგიკულ თუ ზნეობრივ ცხოვრებას.

PECULIARITIES OF THE OPERATION OF CHURCH LAWS

Gocha Barnovi*

Church laws are an integral part of ecclesiastical teaching and experiential life. It is directly related, on the one hand, to the content of the truth of divine revelation and, on the other hand, to the spiritual mission of the Church. Unlike public law, the source of canon law is divine will. Everything that happens in the Church life, is for the deification of man. Therefore, it is important for believers to abide the rulings and canons of both Ecumenical and local councils, due to if the first one mainly adjusting dogmatic and governing side, the latter relates to the moral and liturgical life of believers.

Church laws are not only the authentic sources of the truth derived from the revelation of Christ, but also the guidelines by which each believer is nourished for the ultimate salvation.

Keywords: Canon Law, Canonical Tradition of the Church, Ecumenical and Local Councils, Divine Revelation, Codes of Church Laws.

* Professor, Dean of the Faculty of Humanities and Social Sciences at Sulkhan-Saba Orbeliani University. g.barnovi@sabauni.edu.ge